საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის
სამინისტრო

გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში

2013-2014 წ.წ.

ტელ.: +995 32 272 02 69
ცხელი ხაზი 153

საქართველო,
თბილისი, 0114 გულუას ქ. 6

www.moe.gov.ge
esd@moe.gov.ge

სარჩევი

სახელმწიფო კონტროლი 2

დეპარტამენტის სტრუქტურა 8

ბიუჯეტი 9

შესაძლებლობათა გაძლიერება 12

ცხელი ხაზი 153 15

სამართალდარღვევათა სტატისტიკა 16

ინსპექტირების შედეგები 22

პრევენციული ღონისძიებები 31

ინფორმირებულობის ამაღლება 35

განსახორციელებელი გეგმები - 2015 36

სახელმწიფო კონტროლი

სახელმწიფო კონტროლი

2013 წელს განხორციელებული სამთავრობო რეფორმების შედეგად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლი კვლავ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაექვემდებარა.

2013 წლის 14 მაისიდან გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს** (საფუძველი - მინისტრის ბრძანება №26, 10.05.2013 წ.).

დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები:

- ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა;
- გარემოს დაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი;
- საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

დეპარტამენტის უფლებამოსილება:

- რეგულირების ობიექტების ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება);
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენა;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა, შესაბამისი დადგენილების გამოტანა;
- გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა;
- სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენისას, საქმის მასალების შესაბამის ორგანოებში გადაგზავნა;

- რეგულირების ობიექტისთვის ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენა დადგენილ გონივრულ ვადაში დარღვევების აღმოფხვრის ან რაიმე ქმედებებისგან თავის შეკავების თაობაზე;
- სამართალდარღვევის აღკვეთა, ადმინისტრაციული დაკავება, ნივთებისა და დოკუმენტების გასინჯვა/ჩამორთმევა;
- უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსების, სამართალდარღვევის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ჩამორთმევის მიზნით, ნივთებისა და საგნების დათვალიერება, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გაჩერება-დათვალიერება;
- დარღვევების პრევენციის ღონისძიებებისა და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის პრიორიტეტები

სამთავრობო პროგრამის შესაბამისად ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით, ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახულია გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის გაუმჯობესება.

შემუშავდა გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სფეროში სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები, ამოცანები და შეფასების ინდიკატორები საშუალოვადიან პერსპექტივაში (2014-2016 წ.წ.).

1. გარემოსდაცვით მოთხოვნათა ნებაყოფლობითი შესრულების ხელშეწყობა

მიმართულების მიზანია:

- რეგულირების ობიექტების მიერ, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა;
- კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება/დანერგვა, მათ შორის:
- რეგულირების ობიექტების, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოების, ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემების ამოქმედება.
- რეგულირების ობიექტების გარემოსდაცვითი თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემების სრულყოფა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საფუძველზე;

- კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირების უზრუნველყოფა; ინფორმაციის საჯაროობის გზით, კანონდარღვევთა პრევენცია.

მოსალოდნელი შედეგი:

- მოხდება გარემოსდაცვითი თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის სრულყოფა (საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ტექნიკური საშუალებების დანერგვა);
- რეგულირების ობიექტების 90% დაიცავს გარემოსდაცვითი ანგარიშგების მოთხოვნებს.
- რეგულირების ობიექტთა, სულ მცირე, 80% შეასრულებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს (მათ შორის, ნებართვის/ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოდგენა/შეთანხმების ვალდებულებას);
- შემცირდება ადმინისტრაციული ზეწოლა ბიზნესზე (დაიზოგება ფინანსური, მატერიალური და დროის რესურსი).

შეფასების ინდიკატორები:

- შეტყობინებების ელექტრონული სისტემის არსებობა;
- სისტემაში დარეგისტრირებული რეგულირების ობიექტების რაოდენობა (80%);
- თვითმონიტორინგის და ანგარიშგების ელექტრონული სისტემის არსებობა;
- რეგულირების ობიექტების ანგარიშგების წესების დარღვევის სტატისტიკა (წლების მიხედვით, დაღმავალი ტრენდით).

2. გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის განვითარება

მიმართულების მიზანია:

- თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის - ინსპექტორატის ჩამოყალიბება;
- გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სფეროში საქმიანობის ეფექტური მართვა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის პროცედურების სრულყოფა ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით;

- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული „კანონმდებლობის დარღვევით მიღებული ფინანსური სარგებელის ამოღების პრინციპებისა და მეთოდოლოგიის“ დანერგვა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სახელმწიფო კონტროლის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების დაგეგმვა/უზრუნველყოფა;
- კადრების ეფექტური შერჩევის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნა; კადრების პროფესიული ზრდა.

მოსალოდნელი შედეგი:

- შემუშავდება საქმიანობის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე პროცედურები;
- მიღწეულ იქნება, სულ მცირე, საკანონდებლო და ინსტიტუციური ხარვეზების აღმოფხვრა, რომელიც ხელს უშლის კანონაღსრულების ეფექტურ და სრულყოფილ განხორციელებას;
- კადრების 90% ჩაერთვება კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების სისტემაში; შეიქმნება სერტიფიცირებული ინსპექტორების ინსტიტუტი.

შეფასების ინდიკატორები:

- გარემოსდაცვითი კონტროლის სფეროში არსებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებები, სახელმძღვანელო დოკუმენტების ნუსხა;
- ეროვნული კონცეფცია გარემოზე მიყენებული ზიანისათვის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ;
- სასწავლო პროგრამები, დატრენინგებულ თანამშრომელთა რაოდენობა (90%).

3. სამართლიანი, შედეგზე ორიენტირებული, ეკონომიკურად ეფექტური გარემოსდაცვითი შემოწმებების განხორციელება

მიმართულების მიზანია:

- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა;
- გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების პრევენციას, გამოვლენას, აღკვეთას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- გეგმიური შემოწმებების განხორციელება შემოწმების პრიორიტეტებისა და რისკების დადგენის მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმის მიხედვით;
- არაგეგმიური შემოწმებების განხორციელება შეტყობინებების, საჩივრების, ანგარიშგების ანალიზისა და სხვათა საფუძველზე;
- კანონმდებლობის დარღვევების დროული გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
- გარემოს დაბინძურებით, ბუნებრივი რესურსების უკანონო სარგებლობით დამრღვევთა მიერ მიღებული უკანონო სარგებელის აღკვეთა.

მოსალოდნელი შედეგი:

- უზრუნველყოფილ იქნება რეგულირების ობიექტების, სულ მცირე, 80%-ის მიერ ლიცენზიის/ნებართვის პირობების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვა;
- შემცირდება გარემოს დაბინძურებით, ბუნებრივი რესურსების უკანონო და არარაციონალური გამოყენებით გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევები;
- ხელი შეეწყობა უკანონო ბიზნესის ლეგალურ სივრცეში მოქცევას.

შეფასების ინდიკატორები:

- რეგულირების ობიექტების შემოწმებათა ყოველწლიური გეგმების არსებობა;
- რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმების შედეგები (გამოვლენილი დარღვევების ანალიზი, გაცემული ადმინისტრაციული მიწერილობების შესრულება);
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის სტატისტიკა (წლების მიხედვით, დაღმავალი ტრენდით).

ევროკავშირის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია

ევროკავშირის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციისათვის დეპარტამენტმა დაიწყო ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივებზე მუშაობა:

2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2004/35/EC გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოზე მიყენებული ზიანის პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას

დირექტივის მოთხოვნა:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა (მუხლი 11);
- წესებისა და პროცედურების დაწესება, რომლის მიზანია გარემოზე მიყენებული ზიანის პრევენცია და დაზიანებული გარემოს აღდგენა "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით (მუხლი 5-7, დანართი II);
- ოპერატორებისათვის ვალდებულებების დაწესება, რათა განახორციელონ პრევენციული და აღდგენითი ღონისძიებები, მათ შორის ზარალის ანაზღაურება (მუხლი 5-10);
- მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება სახიფათო საქმიანობების განმახორციელებელ საწარმოებში (მუხლი 3(1), დანართი III)
- სამართლებრივი სისტემის და გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასების, და/ან კომპენსაციის მეთოდოლოგიის მოდერნიზაცია.

2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2010/75/EU სამრეწველო ემისიების შესახებ

დირექტივის მოთხოვნა:

- სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შემუშავება.

აღნიშნული დირექტივების დებულებების შესრულების მიზნით მომზადდა განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა.

მიმდინარეობს საერთაშორისო ექსპერტის მოძიება, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შემოთავაზებისა და დანერგვის მიზნით.

დეპარტამენტის სტრუქტურა

დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს ცენტრალურ აპარატში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და 8 ტერიტორიული სამსახურის მეშვეობით.

2014 წელს 2013 წელთან შედარებით, დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება 330-დან 348 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა.

აქედან, ცენტრალურ აპარატში საშტატო რიცხოვნება შეადგენს - 81 საშტატო ერთეულს, ხოლო ტერიტორიულ ორგანოებში - 267-ს.

დეპარტამენტის სტრუქტურა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:



დიაგრამა 1. დეპარტამენტის ორგანიზაციული სტრუქტურა

ბიუჯეტი

“საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონით, 2013 წლის 14 მაისიდან (8 თვე) გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დაფინანსებამ 5 719 900 ლარი შეადგინა.

2014 წელს წინა წელთან შედარებით დაფინანსება 1 120 100 ლარით გაიზარდა და 6 840 000 ლარით განისაზღვრა.

შემუშავდა დასაბუთებული წინადადებები დეპარტამენტის ბიუჯეტის გაზრდის მოთხოვნით, რომლის საფუძველზე დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 7 748 100 ლარი შეადგინა. საკასო შესრულებამ წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში 99,26% შეადგინა.

შემუშავდა წინადადებები მომავალი 2015 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის მიზნით, რომელმაც 12 700 000 ლარი შეადგინა.



დიაგრამა 2. დეპარტამენტის ბიუჯეტი, 2013-2015 წ.წ.

ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებლები 2013-2014 წ.წ.

2013 წ. - 5 719 900 ლარი



2014 წ. - 7 748 100 ლარი



2015 წ. - 12 700 000 ლარი



ტექნიკური აღჭურვილობა და ოფისები

დეპარტამენტის უფლებამოსილების ეფექტურად შესრულებისა და შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით, განხორციელდა თანამშრომელთა სპეციალური საშუალებებითა და მოწყობილობით აღჭურვის ღონისძიებები, ოფისების კეთილმოწყობა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

სატრანსპორტო საშუალებები:

- მაღალი გამავლობის ავტომანქანები;
- სხვა სატრანსპორტო საშუალებები;

სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა აღჭურვილობა:

- სპეცტანსაცმელი (უნიფორმა);
- ცეცხლსასროლი იარაღი;
- მაღალი ხედვის ბინოკლები, ფოტოაპარატები, ფანრები, ლუქები, სასწორები, საბუქსირე ბაგირები, სამაშველე ჟილეტები და სხვა;

მონიტორინგის საშუალებები:

- GPS-კონტროლი ავტომანქანების მოძრაობის, სიჩქარისა და საწვავის მონიტორინგის მიზნით;
- სამკერდე კამერები და ვიდეორეგისტრატორები;

კომპიუტერული მოწყობილობა:

- სერვერი;
- ერთიანი ინტენეტ-ქსელი და უსაფთხოების სისტემა;
- კომპიუტერები;

პროგრამული უზრუნველყოფა:

- შიდა საინფორმაციო სისტემა - „ინსპექტორი“;
- სახერხი საამქროების მოდული - მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ORIS Accounting 5.148;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - eFlow;
- გეოსაინფორმაციო სისტემა - ArcGIS

ინსპექტირების ხელშეწყობის მიზნით შეძენილ იქნა:

- სრული ლაბორატორიული აღჭურვილობა შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურისთვის;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების, ხმაურის გამზომი ექსპრეს-ხელსაწყოები (დონორების დახმარებით);
- სპეციალური ტანსაცმელი და აღჭურვილობა მაღალი რისკის საწარმოების ინსპექტირების უსაფრთხოების მიზნით (დონორების დახმარებით);

გაიხსნა და კეთილმოეწყო ტერიტორიული სამსახურების ოფისები:

- აღმოსავლეთ ცენტრალური სამსახურის ოფისი - ქ. მცხეთაში;
- ქვემო ქართლის სამსახურის ოფისი - ქ. რუსთავში.

შესაძლებლობათა გაძლიერება

კვალიფიკაციის ამაღლება

2013 წელი



ჰოლანდიელი პარტნიორების დახმარებით „ტრენერთა ტრენინგის“ ფარგლებში გარემოსდაცვითი ინსპექტირების საკითხებზე 3-ეტაპიანი სწავლება გაიარა დეპარტამენტის შვიდმა თანამშრომელმა:

- ჩატარდა სასწავლო-საჩვენებელი ინსპექტირებები ჰოლანდიასა და საქართველოში სხვადასხვა ტიპის საწარმოებში ინსპექტირების სტანდარტული პროცედურების შესაბამისად;
- კვალიფიციური ინსპექტირების ჩატარების მიზნით მომზადდა ინსპექტირების სახელმძღვანელო დოკუმენტები და შესაბამისი შემოწმების კითხვარები სხვადასხვა ბიზნეს-სექტორებისთვის.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით:

- 15 ინსპექტორი გადამზადდა ნაგავსაყრელების ინსპექტირების საკითხებზე;
- შემუშავდა დამხმარე მასალები - სახელმძღვანელო ”ნაგავსაყრელების ინსპექტირება საქართველოში”, შემოწმების კითხვარები და სხვა;

სხვა ტრენინგები:

- ტრენინგი გაიარა ერთმა ინსპექტორმა - პროექტის ”პრევენცია, მზაობა და რეაგირება ტექნოგენურ და ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებით” (PPRD East) ფარგლებში თემაზე - ”სახიფათო ნივთიერებებით გამოწვეული დიდი ავარიების საშიშროების კონტროლი” (დირექტივა SEVESO III);
- ორმა ინსპექტორმა გაიარა ტრენინგი - USAID/HICD PLUS პროექტის “ადამიანური და განვითარების” პროექტის ფარგლებში - „ტრენერთა ტრენინგის” კურსი სასწავლო მოდულების შემუშავებისთვის;
- ჩატარდა სემინარი ინსპექტორებისთვის - დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა წლიური გაფრქვევების ფაქტობრივი მაჩვენებლებისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისგან დაცვის საკითხებზე.

USAID/HICD PLUS პროექტის და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო მოდულები:

- ინსპექტირების პროცედურებისა და პრაქტიკული ასპექტების შესახებ;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საკითხებზე.

2014 წელი

განხორციელდა სემინარები თემაზე:

- ინსპექტირების პროცედურები და პრაქტიკული ასპექტები. დატრენინგდა 15 ინსპექტორი (მხარდამჭერი - USAID/HICD PLUS პროექტი, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი);
- საქართველოს შიდა წყალსატევებში გავრცელებული თევზის სახეობების, თევზსაჭერი საშუალებების იდენტიფიკაციისა და თევზჭერის საკითხებზე (ევროპის კომისიის პროექტი, ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“). დატრენინგდა 15 ინსპექტორი.
- 2-დღიანი სასწავლო ტური გერმანიაში (Feldafing, Bavaria) სატყეო მიმართულებით საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით - (სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ) - მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის 2 თანამშრომელმა.

სახელმძღვანელოების მომზადება





მომზადდა და ჰოლანდიელი პარტნიორების დახმარებით დაიბეჭდა:

- **ცნობარი დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის:** ”გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა”; “საქართველოში გავრცელებული თევზის სახეობები”.

  ცნობარის მიზანია, სამართალდარღვევის გამოვლენისას მოხდეს დარღვევისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭება, თევზის სახეობის იდენტიფიცირება.

- **სახელმძღვანელო ინსპექტორებისათვის:** “ნაგავსაყრელების ინსპექტირება საქართველოში“.

  სახელმძღვანელოს მიზანია ინსპექტორების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება.

მუშავდება შემდეგი სახელმძღვანელო და მეთოდოლოგიური დოკუმენტები:

- მომზადებულია ინსპექტირების სექტორული გზამკვლევები და შემოწმების კითხვარები შემდეგი სექტორების მიხედვით:
  - ასფალტის წარმოება;
  - ცემენტის წარმოება;
  - სასუქის წარმოება;
  - მეტალურგიული მრეწველობა;
  - წყლის გამწმენდი ნაგებობის ოპერირება;
  - ნავთობტერმინალებისა და ნავთობსაცავების ოპერირება.
  - ჰიდროელექტროსადგურები.

ცხელი ხაზი 153



2014 წლის თებერვლიდან ამოქმედდა 24-საათიანი „ცხელი ხაზი - 153“, რომლის საშუალებით მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან მიიღება შეტყობინებები გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების შესახებ და ხორციელდება ოპერატიული რეაგირება; მოქალაქეებს ასევე საშუალება აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია გარემოსდაცვით საკითხებზე.

სულ, საანგარიშო პერიოდში „ცხელ ხაზზე“ შემოვიდა 2163 ზარი:

- 1255 ზარი - ინფორმაციული ხასიათის, რომელზეც გაეცა შესაბამისი პასუხი;
- 437 ზარი - გადამისამართდა კომპეტენციის შესაბამისად;
- 471 ზარი - შეტყობინება სამართალდარღვევის თაობაზე.

მიმდინარე მონაცემებით, რეაგირება განხორციელდა 467 შეტყობინებაზე:

- 257 შეტყობინება, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, გადამოწმებით არ დადასტურდა;
- 210 დარღვევის ფაქტზე გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

შეტყობინების თემატიკა	რაოდენობა
• ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	117
• ხე-ტყის უკანონო ჭრა	102
• უკანონო თევზჭერა	53
• უკანონო ნადირობა	41
• სუნის გავრცელება	41
• ნარჩენებით გარემოს დაბინძურება	40
• წიაღის უკანონო მოპოვება	29
• ცხოველთა დატყვევება	16
• წყლის დაბინძურება	8
• ხმაური	8
• უკანონო საქმიანობა	7
• ინსპექტორის უკანონო ქმედება	3
• მიწის დეგრადაცია	3
• ჭაბურღილის დალუქვა	3
სულ	471

სამართალდარღვევათა სტატისტიკა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2013-2014 წლების განმავლობაში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის **12 925** ფაქტი გამოვლინდა. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 12 417 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების – 508 ფაქტი.



დიაგრამა 3. სამართალდარღვევათა დინამიკა, 2013-2014 წ.წ.



დიაგრამა 4. სამართალდარღვევათა დინამიკა თვეების მიხედვით, 2013-2014 წ.წ.



	ცენტრალური აპარატი	აღმოსავლეთ ცენტრალური სამსახური	სამცხე-ჯავახეთის სამსახური	ქვემო ქართლის სამსახური	კახეთის სამსახური	დასავლეთ ცენტრალური სამსახური	სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახური	აჭარის სამსახური	შავი ზღვის დაცვის კონვენ. სამსახური
ადმინისტ.	872	1716	1772	1498	1988	1958	1235	1266	112
სისხლი	138	50	34	40	64	96	52	34	0

დიაგრამა 5. სამართალდარღვევათა დინამიკა რეგიონების მიხედვით, 2013-2014 წ.წ.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

2013-2014 წლების სამართალდარღვევათა სტრუქტურა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ტყითსარგებლობის წესების დარღვევის 2 256 ფაქტი;
- ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 1 838 ფაქტი;
- თევზჭერის წესების დარღვევის 1 474 ფაქტი;
- ნადირობის წესების დარღვევის 1049 ფაქტი;
- სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 1 343 ფაქტი;
- წიაღის უკანონო მოპოვების 2 119 ფაქტი;
- ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის 1 189 ფაქტი;
- დასუფთავების წესების დარღვევის 437 ფაქტი;
- წყლის კანონმდებლობის დარღვევის 340 ფაქტი;
- მიწის კანონმდებლობის დარღვევის 199 ფაქტი;

- გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დარღვევის 128 ფაქტი;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებების რეგისტრაციის წესების დარღვევის 52 ფაქტი;
- გემებიდან ზღვის დაბინძურების 27 ფაქტი;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევის ან უნებართვო საქმიანობის 88 ფაქტი;
- სხვა დარღვევები - 386 ფაქტი.



დიაგრამა 6. სამართალდარღვევათა დინამიკა, 2013-2014 წ.წ.

სისხლის სამართლის საქმეები

2013-2014 წლებში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე 508 საქმე, შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილია საგამოძიებო ორგანოებში. მათ შორის:

- 203 - უკანონო თევზჭერა;
- 165 - ხე-ტყის უკანონო მოპოვება;
- 56 - წიაღის უკანონო მოპოვება;
- 54 - ლიცენზიის პირობების დარღვევა;
- 13 - მიწის დაბინძურება-დეგრადაცია, ნაყოფიერი ფენის მოხსნა;
- 12 - უკანონო ნადირობა;
- 3 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობა;
- 1 - მდინარის დაბინძურება;
- 1 - მაკონტროლებელისთვის წინააღმდეგობის გაწევა.



დიაგრამა 7. სისხლის სამართლის საქმეები, 2013-2014 წ.წ.

ჯარიმა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი

2013-2014 წლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 6 139 220 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 403 784 729 ლარი, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე - 368 499 915 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - 35 284 814 ლარი.



დიაგრამა 8. ჯარიმები და გარემოსთვის მიყენებული ზიანი (ლარი), 2013-2014 წ.წ.

უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი

2013-2014 წლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოვლინდა უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი:

სასარგებლო წიაღისეული			ბიომრავალფეროვნება		
სახეობა		ოდენობა	სახეობა		ოდენობა
• ინერტული მასალა	მ3	892 742,6	• ხე-ტყე, მ.შ.	მ3	46 015,2
• საღორღე ნედლეული	მ3	14 292,1	– *სამასალე*	*მ3*	*31 657,1*
• ბაზალტი	მ3	14 190,0	– *საშეშე*	*მ3*	*14 359,1*
• მანგანუმის ნედლი მადანი	ტ	600,6	• თევზი	კგ	1271,0
• სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენი	ტ	27 029,5	• ყოჩივარდას გორგლი	კგ	200,0
• ვულკანური წიდა	მ3	69 586,4	• ჯიხვი	ეგზ	3
• კვარცმინდვრის-შპატიანი ქვიშა	ტ	10 499,2	• შველი	ეგზ	2
• თიხიანი კონგლომერატი	მ3	2 000,0	• კურდღელი	ეგზ	2
• თიხა-თაბაშირი	მ3	2 192,0	• ფრინველი	ეგზ	165
• კირქვა	მ3	165,0	• დათვი	ეგზ	2
• მტკნარი წყალი	მ3	201 441,4	• მელიის, მგლის ლეკვი	ეგზ	4
			• ჩია არწივი	ეგზ	1

ასევე გამოვლენილ იქნა უკანონოდ მოპოვებული გარეული ცხოველების დერივატები, სულ 27 ერთეული, მათ შორის:

- დათვის ნაღველი - 6, დათვის ტყავი - 5, მგლის ტყავი - 5, მელიის ტყავი -1, გარეული ღორის კბილი - 9, დათვის ქონი - 0,85 კგ.

ინსპექტირების შედეგები

რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 2013-2014 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა რეგულირების ობიექტების - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებსა და მრგვალი მორის გადამამუშავებელი საამქროს ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული საწარმოების ინსპექტირება, მათ შორის, გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა.

რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმებები განხორციელებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 2014 წლის 19 თებერვლის №ი-81 ბრძანებით დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2014 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად;

რეგულირების ობიექტების არაგეგმიური შემოწმებები წლის განმავლობაში ხორციელდებოდა დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების, სამართალდარღვევების შესახებ „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაციების, სახელმწიფო უწყებების და ორგანიზაციების მომართვების, საწარმოებში მომხდარი ავარიული სიტუაციების, ასევე წინა ინსპექტირების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით.

ასევე რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების, პრევენციული ღონისძიებიების განხორციელების მიზნით რეგულარულად მიმდინარეობდა **რეგულირების ობიექტების საქმიანობის დათვალიერება-შესწავლა.**

შედეგები:

- **2013 წელს** განხორციელდა 703 რეგულირების ობიექტის ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგების მიხედვით, გამოვლინდა 681 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, 22 - სისხლის სამართლის საქმე.

- **2014 წელს** განხორციელდა 1902 რეგულირების ობიექტის ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის 2148 დარღვევა, მათგან: 2025 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, 123 - სისხლის სამართლის საქმე.

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმა

შემუშავდა და დამტკიცდა რეგულირების ობიექტების 2014 წლის შემოწმებათა გეგმა (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 თებერვლის №ი-81 ბრძანება). წლიური გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულ იყო 119 რეგულირების ობიექტის გეგმიური შემოწმება.

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა 116 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება.

3 რეგულირების ობიექტის შემოწმება ვერ განხორციელდა შემოწმების საფუძვლის არარსებობის გამო (საწარმოს გაუქმება).

გეგმიურად შემოწმდა:

- 85 - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების შესრულება;
- 2 - თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულება;
- 7 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულება;
- 6 - სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულება;
- 13 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულება;
- 3 - CITES კონვენციის დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულება.

შედეგი:

- 29 რეგულირების ობიექტის შემოწმების პროცესში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა არ გამოვლინდა;
- 83 ობიექტის შემოწმების პროცესში გამოვლენილია კანონმდებლობის დარღვევა, მათ შორის, 16 ობიექტის მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანის ზიანის გამო, საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის, გადაგზავნილ იქნა საგამოძიებო ორგანოებში. მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი რეაგირების გატარება;
- 2 ობიექტის შემოწმების შედეგები დასრულებული არ არის, მიმდინარეობს მასალების დამუშავება;
- 2 ობიექტის შემოწმების პროცესი შეჩერდა საწარმოს ფუნქციონირების განახლებამდე.

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

2013 წელი

2013 წელს ლიცენზიის პირობების შესრულების მდგომარეობის შესწავლის ან გადამოწმების მიზნით განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ლიცენზიის პირობების დარღვევის 57 ფაქტი. მათგან:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 49 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების - 8 ფაქტი;

შედეგი:

- სულ, წიაღისეულის უკანონო მოპოვებით და გარემოს დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა **2 594 116** ლარი.

მნიშვნელოვანი ფაქტები:

დასახელება	მდებარეობა	დარღვევის შინაარსი	ზიანი, ლ
შპს ჯორჯიან მანგანეზი	ჭიათურა (პერევი, რგანი, ითხვისი, ზედა ითხვისი)	მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას მიწის (ნიადაგის) დეგრადაცია	2 079 582,3
შპს ბორან მაინინგი	წყალტუბო, სოფ. ოფშკვითი	249 440 მ3 ქვიშა- ხრეშის გადამეტებით მოპოვება	249 640,0
შპს ჯორჯიან მანგანეზი	ჭიათურა, რგანის მაღარო	ლიცენზიისკონტურში (რგანის მაღარო) შემავალ სახელმწიფო ტყის ფონდში ხე-ტყის უკანონო ჭრა, 2,3 ჰა-ზე მოთხრილი ხე-ტყე	158 832,0
შპს კომპანია ბლექსიგრუპი	თიანეთი, სოფ. ჭურჭელაურები	მდ. იორის მარჯვენა კალაპოტიდან ქვიშა-ხრეშის უკანონო მოიპოვება	41 099,0
შპს აზსაქმშენალიანსი	თეთრიწყაროს რაიონი	კონტურს გარეთ 918,69 მ3 დაციტის, 12760 მ3 გრანიტოიდების ღორღის უკანონოდ მოიპოვება; უნებართვოდ მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა	27 557,4
შპს კავკასენერგო	აჭარა	21 858,08 მ3 ქვიშა-ხრეშის უკანონო მოპოვება, სამუშაოების წარმოება პირობების დარღვევით	22 058,0
შპს ნიუ სფეისი	ხარაგაული, სოფ. საღანძილე	კონტურს გარეთ 7000,0 მ3 ქვიშა-ხრეშის უკანონო მოპოვება	7 200,0

გარდა ამისა, ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული ანგარიშების, ათვისების გეგმების და სხვა სავალდებულო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის, ასევე წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზით გამოვლენილი დარღვევების გამო, 362 ლიცენზიანტის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმები, რომლებიც გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოებს განსახილველად.

2014 წელი

წიაღის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 2014 წელს განხორციელდა 541 ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება).

შედეგი:

- 34 ობიექტის შემოწმებით, ლიცენზიის პირობების დარღვევა არ გამოვლინდა;
- გამოვლინდა ლიცენზიის პირობებისა და წიაღის კანონმდებლობის დარღვევის 549 ფაქტი (მათ შორის, წიაღისეულის უკანონო მოპოვების, სამთო სამუშაოების წარმოების პროცესში მიწის გაუვარგისების, დაბინძურების, საბადოს დამუშავების პროექტის გარეშე მოპოვებითი სამუშაოების წარმოების და სხვა), კერძოდ:
  - 499 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი;
  - 50 სისხლის სამართლის ნიშნების ფაქტი.

გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ, მიმდინარე მონაცემებით, შეადგინა **327 649 309** ლარი.

მნიშვნელოვანი ფაქტები:

- შპს "ჯორჯიან მანგანეზი"- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №100330 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შემოწმება - გამოვლინდა მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და ნიადაგის დეგრადაციის, მდინარის დაბინძურების ფაქტი.

  გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ **324 328 434,23** ლარი შეადგინა. მასალები გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

- შპს "ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში" - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1001146, №1001179, №1001180, №1001292 ლიცენზიებით გათვალისწინებული პირობების შემოწმება - გამოვლინდა მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და წიაღის უკანონო მოპოვების ფაქტი.

  გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ **1 422 960,99** ლარი შეადგინა. მასალები გადაეგზავნა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

გარდა ამისა, ლიცენზიანტების მიერ ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული ანგარიშების, ათვისების გეგმების და სხვა სავალდებულო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის, ასევე წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზით გამოვლენილი დარღვევების გამო, 433 ლიცენზიანტის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები,რომლებიც გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოებს განსახილველად.

ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგები

2013-2014 წლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყველა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიანტის (67) მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება.

სულ განხორციელდა 72 შემოწმება, მათან:

- 2013 წელს - 11 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შემოწმება;
- 2014 წელს - 61 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემოწმება (შეუმოწმებელი 57 ლიცენზია და 2013 წელს შემოწმებული 4 ლიცენზიის ზოგიერთი ტყეკაფები, რომელთა შემოწმებაც გასულ წელს ვერ მოესწრო).

შედეგები

- 48 საქმე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რომლებიც გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის;
- 21 შემოწმების შედეგებით, გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- 2 ლიცენზიის პირობების შემოწმებით, დარღვევა არ გამოვლინდა;
- 1 ლიცენზიის შემოწმება შეჩერდა კლიმატური პირობების გაუარესების გამო;
- ასევე, 2 ლიცენზიის შემოწმების შედეგების საფუძველზე, ლიცენზიის გამცემ ორგანოს მიემართა ლიცენზიების გაუქმების მოთხოვნით (წითელი ნუსხით დაცული სახეობების (წაბლის) სანიტარული ჭრის მიზნით მოქმედი ლიცენზიები).

შემოწმებათა პროცესში გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- 54 შემოწმების პროცესში - უკანონო ჭრის ფაქტები;
- 49 შემოწმების პროცესში - ტყეკაფის გაუწმენდაობა;
- 24 შემოწმების პროცესში - ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა;

- ლიცენზიით მოსაჭრელი რესურსის შესაბამისი თანხის გადაუხდელობა.

შემოწმების შედეგების მიხედვით, ტყითმოსაგებლეების მიერ ლიცენზიის პირობების დარღვევისა და ხე-ტყის უკანონო მოპოვებით გარემოსთვის მიყენებულმა დაანგარიშებულმა ზიანმა **6 294 371,0** ლარი შეადგინა. მათგან:

- 2013 წელს - **3 385 819,0** ლარი;
- 2014 წელს - **2 908 552,0** ლარი;

2013-2014 წ.წ. განხორციელებული შემოწმებებით გამოვლენილი უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის საერთო მოცულობამ შეადგინა - **31 516,6** კუბ.მ.

სამართალდამცავი და სხვა უწყებების მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდა 7 არაგეგმიური შემოწმება - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებულ ზოგიერთ ტყეკაფებზე ტყის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

აღნიშნული შემოწმებებით გამოვლინდა 2781,3 კუბ.მ. საერთო მოცულობის უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე.

გარემოსთვის მიყენებული ზიანის საერთო ოდენობამ შეადგინა **502 083,1** ლარი. შემოწმების მასალები გადაეგზავნა შესაბმის ორგანოებს.

სამონადირეო და თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგები

2014 წელს განხორციელდა 6 სამონადირეო მეურნეობისა და 3თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება.

შედეგები:

- 2 ლიცენზიის პირობების შემოწმებით, დარღვევა არ გამოვლინდა;
- 6 ლიცენზიის პირობების შემოწმების საფუძველზე, შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმები, რომლებიც გადაეგზავნა განსახილველად შესაბამის სასამართლოებს.
- 1 ლიცენზიის პირობების შემოწმების მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოს შემდგომი რეაგირებისთვის (უკანონო ჭრა);

შემოწმებათა პროცესში გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- 6 ლიცენზიის პირობების შემოწმების პროცესში - ლიცენზიის პირობების დარღვევა, მათ შორის, 1 სპეციალური სალიცენზიო პირობის დარღვევა;
- 3 ლიცენზიის პირობების შემოწმების პროცესში - მიწისქვეშა წყლის უკანონო მოპოვება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე;
- 1 ლიცენზიის პირობების შემოწმების პროცესში - გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე სატბორე წყალსაცავის ფუნქციონირება.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

2013 წელი

12 საწარმოში განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების, ასევე წინა ინსპექტირების საფუძველზე გაცემული სავალდებულო მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

2014 წელი

45 რეგულირების ობიექტში განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების, ასევე წინა ინსპექტირების საფუძველზე გაცემული სავალდებულო მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

შემოწმების შედეგად საწარმოებში გამოვლენილ იქნა ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების დარღვევა. საწარმოებს, კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარების შემდგომ, დარღვევათა აღმოსაფხვრელად, განესაზღვრებათ გონივრული ვადები.

მნიშვნელოვანი ფაქტები:

- **შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი''-** განხორციელდა ადმინისტრაციული მიწერილობის შესრულების მდგომარეობის შემოწმება, რომლითაც განსაზღვრული ჰქონდა გონივრული ვადები გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. გამოვლინდა, რომ საწარმოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა უზრუნველყოფილი გამწმენდი ნაგებობების მოწყობა. ჩამდინარე წყლების ზედაპირულ წყალსატევში ჩაშვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 30 799 860 ლარი.
- **შპს საქნახშირი (ჯი აი ჯი ჯგუფი)** - გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შემოწმება - ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი დაბინძურებული ჩანდინარე წყლების ჩაშვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 3 170 760 ლარი.

გამოვლინდა 34 საწარმო, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე ახორციელებდა საქმიანობას.

გარდა ამისა, ორგანიზაციათა მომართვების, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე, განხორციელდა სხვადასხვარეგულირების ობიექტების საქმიანობის ინსპექტირება გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

შავი ზღვის დაბინძურებისა და თევზჭერის კონტროლი

2013-2014 წლებში შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად:

- განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 527 გემის ინსპექტირება ნარჩენების აღრიცხვის, შეფასებისა და უტილიზაციის, მ.შ. იზოლირებული ბალასტური წყლების, გამწმენდი დანადგარების მუშაობისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის მიზნით;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის 52 მცურავი საშუალების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გატარებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზომები.
- გამოვლინდა გემებიდან ზღვის დაბინძურების 27 ფაქტი. გემის პასუხისმგებელი პირები დაჯარიმდნენ - თითოეული 65 000 ლარით. დაწესდა კონტროლი ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე.

შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული რეიდების შედეგად გამოვლინდა თევზჭერის წესების დარღვევის 33 ფაქტი, ჩამორთმეულ იქნა სხვადასხვა სახეობის თევზი და სამართალდარღვევის ჩადენის იარაღები.

საწარმოების ნუსხა, რომელთა მიმართ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამო დაანგარიშდა გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (ლარებში)

დასახელება	ლიცენზია, ნებართვა	დარღვევის შინაარსი	ზიანი, ლ
შპს ჯორჯიან მანგანეზი	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	გამოვლინდა მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და ნიადაგის დეგრადაციის, მდინარის დაბინძურების ფაქტი.	324 328 434,2
შპს ჯორჯიან მანგანეზი	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მოთხოვნები შეუსრულებლობა, მათ შორის არ განხორციელდა გამამდიდრებელი ფაბრიკების საწარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდების მოწყობა. დაბინძურებული წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მდ.ყვირილაში.	30 799 860,0
შპს RMG Gold	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის მშენებლობის შედეგად მიწის დაბინძურება და დეგრადირება	29 153 880,0
შპს საქნახშირი (ჯი აი ჯი ჯგუფი)	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმო ფუნქციონირებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევით.	3 170 760,0
შპს ჯორჯიან მანგანეზი	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	ლიცენზიის ფარგლებში მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას მიწის (ნიადაგის) დეგრადაცია	2 079 582,3
შპს ჯორჯიან ფორისთ	ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია	გამოვლინდა უკანონო ჭრები, ტყეკაფის გაუწმენდაობა	1 630816,3
შპს ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	გამოვლინდა მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და წიაღის უკანონო მოპოვების ფაქტი.	1 422 961,0
ი/მ რაგული ტაბატაძე	ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია	გამოვლინდა უკანონო ჭრები (6445 მ3), ტყეკაფის გაუწმენდაობა, ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა	1 093417,6
შპს RMG Copper	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ 5000 კუბ.მ მოცულობის ე.წ. შემასქელებელი რეზერვუარიდან მოხდა 500 კუბ.მ მოცულობის მუავე კარიერული წყლის ჩაღვრა მდ. კაზრეთულაში.	1 078 188,0

პრევენციული ღონისძიებები

პრევენციული ღონისძიებები ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში

2014 წლის აპრილი-მაისი

მანგანუმის მადნის უკანონო სარგებლობისა და გადამუშავების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, განხორციელდა ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული მანგანუმის გამამადიდრებელი საწარმოების დათვალიერება და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №37 და 2006 წლის 9 იანვრის №06 ბრძანებებით გაუქმებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოქმედების პერიოდში ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოპოვებული და დასაწყობებული სასარგებლო წიაღისეულის - მანგანუმის მადნის ინვენტარიზაცია.

გამოვლინდა:

- 6 მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო, რომელიც საქმიანობას ეწეოდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე;
- 7 მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო, რომელსაც დარღვეული ჰქონდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობები;
- სასარგებლო წიაღისეულით უკანონო სარგებლობის სავარაუდო ფაქტზე, 17 კომპანიის მიმართ დათვალიერების მასალები გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოს.

შედეგი:

- მოხდა მოპოვებული და დასაწყობებული მანგანუმის ნედლი მადნის, ტექნოგენური დანაგროვისა და კონცენტრატის სრული ინვენტარიზაცია;
- აღიკვეთა მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვება და დაწესდა კონტროლი საწარმოების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვაზე;
- დაწესდა პატრულირება ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოების დათვალიერება

2014 წლის ნოემბერი-დეკემბერი

ჭიათურის მუნიციპალიტეტში განხორციელდაგარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოების საქმიანობის დათვალიერება/შესწავლა. ინსპექტირება განხორციელდა აღნიშნული პერიოდისათვის მოქმედ 17 გამამდიდრებელ საწარმოზე.

შედეგი:

- გამოვლენილ იქნა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების, ასევე წინა ინსპექტირების საფუძველზე გაცემული სავალდებულო მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა. საწარმოების მიმართ გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

პრევენციული ღონისძიებები სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენის უკანონო მოპოვების აღკვეთის მიზნით

2014 წლის მარტი-სექტემბერი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ იქნა პრევენციული ღონისძიებები ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენის უკანონო მოპოვების აღკვეთის მიზნით.

შედეგი:

- გამოვლინდა სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენის უკანონო მოპოვების 72 ფაქტი. სამართალდამრღვევთა მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსის 57^1-ე მუხლის შესაბამისად და გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოებს განსახილველად.
- სამართალდამრღვევებს ჩამოერთვათ უკანონოდ მოპოვებული სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენი (წიდა), სულ 593,5 ტონა. დაანგარიშებულ იქნა გარემოსთვის მიყენებული ზიანი, რომელმაც სულ შეადგინა 10 246,35 ლარი.
- ასევე, დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, ლ. სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი კვლევა და დასკვნა დაეგზავნა დაინტერესებულ უწყებებს.

პრევენციული ღონისძიებები მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელ საამქროებზე გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შესწავლის მიზნით

დეპარტამენტის მიერ განსაკუთრებულ კონტროლი იყო დაწესებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი საამქროების მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების - "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" - მოთხოვნების დაცვაზე.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია და ანგარიშგებას ახორციელებდა მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი 656 საამქრო.

რეგულარულად ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში არარეგისტრირებული (უკანონო) სახერხი საამქროების, ასევე სახერხ საამქროებში უკანონო ხე-ტყის შეტანისა და გადამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

2013-2014 წლების განმავლობაში გამოვლენილ იქნა 528 არარეგისტრირებული სახერხი საამქრო. მათ შორის:

- 2013 წ.- 148 სახერხი საამქრო;
- 2014 წ.- 380 სახერხი საამქრო.

რეგიონები	სახერხები	
	რეგისტრირებული, 2014 წ.	არარეგისტრირებული, 2013-2014 წ.წ.
ქ. თბილისი	4	1
მცხეთა-მთიანეთი	8	1
შიდაქართლი	60	41
ქვემოქართლი	2	1
კახეთი	48	21
სამცხე-ჯავახეთი	111	200
იმერეთი	113	69
რაჭა	66	3
გურია	30	10
სამეგრელო-ზ/სვანეთი	112	97
აჭარა	102	84
სულ, 2013-2014 წ.წ.	**656**	**528**

კვლევა ბენზინისა და დიზელის საწვავში გოგირდისა და ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით

საქართველოს პრემიერ მინისტრის დავალების საფუძველზე, ბენზინისა და დიზელის შემადგენლობაში ტყვიისა და გოგირდის შემცველობის დადგენის მიზნით ლევან სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან ერთად განხორციელდა კვლევა.

შერჩევითი წესით იქნა აღებულ ბენზინისა და დიზელის სინჯები ნავთობპროდუქტების ძირითადი რეალიზატორების მფლობელობაში არსებული ნავთობპროდუქტების საცავებიდან და ავტოგასამართი სადგურების რეზერვუარებიდან.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბენზინის ყველა ნიმუშში გოგირგისა და ტყვიის შემცველობა, ხოლო დიზელის ნიმუშებში ტყვიის შემცველობა აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ამავე კვლევის შედეგების მიხედვით, დიზელის საწვავის ნიმუშებში გოგირდის შემცველობა აჭარბებდა დადგენილ ნორმებს.

- რეგულარულად ტარდებოდა სხვა პრევენციული ღონისძიებები და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების პრევენციის, ასევე ახალი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

ინფორმირებულობის ამაღლება

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პრევენციული ღონისძიებების, კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების ხელშემწყობი ღონისძიებების დანერგვას, ამ მიზნით:

განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ინფორმირებას გარემოსდაცვითი ვალდებულებების თაობაზე და ამ გზით - კანონმდებლობის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას:

- რეგულირების ობიექტებს, რომლებსაც გააჩნიათ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროები, დაეგზავნათ საინფორმაციო წერილები ანგარიშგების ვალდებულების თაობაზე; გაეწიათ კონსულტაციები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების მიღება-შეთანხმების მიზნით;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეგზავნათ საინფორმაციო წერილები:
  - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღების პროცედურებისა და სავალდებულო გარემოსდაცვითი მოთხოვნების თაობაზე;
  - ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოპოვებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების წესების თაობაზე.

მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთა მიზანია საზოგადოებამ და მათ შორის, მეწარმეებმა მიიღონ მეტი ინფორმაცია გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის შესახებ:

- **საინფორმაციო ბუკლეტი მეწარმეებისათვის:** „რა უნდა ვიცოდეთ გარემოსდაცვითი ინსპექტირების შესახებ“, რომელიც დაეხმარება მეწარმეს მომზადებული შეხვდეს გარემოსდაცვით ინსპექტირებას, მიიღოს პასუხები შეკითხვებზე;
- **საინფორმაციო ბუკლეტი:** „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესახებ“ და კალენდარი დეპარტამენტის ცხელი ხაზის (153) მითითებით.

განსახორციელებელი გეგმები - 2015

დაგეგმილია დეპარტამენტის სტრუქტურული ოპტიმიზაცია, კერძოდ:

- ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების - ნარჩენების კონტროლისა და ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტროლის განყოფილებების შექმნა;
- ახალი ტერიტორიული სამსახურების შექმნა - დეპარტამენტის ტერიტორიული სამსახურების სამოქმედო ტერიტორიების სიდიდის გათვალისწინებით და პრობლემური ტერიტორიების უკეთ გაკონტროლების მიზნით;
- სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფების, ინსპექტორთა რიცხოვნობის გაზრდა და სათანადო აღჭურვა, რაც უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა პრევენციას, დარღვევათა შემაკავებელი გარემოს შექმნას.

დეპარტამენტის შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით იგეგმება:

ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა -

- მცურავი საშუალებები, მათ შორის, შიდა წყალსატევებზე ბრაკონიერობასთან საბრძოლველად;
- სპეციალური ხელსაწყოები მაღალი რისკის ობიექტების ინსპექტირების მიზნით (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით);
- ვიდეო-რეგისტრატორები სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისა და ინსპექტორებისათვის;
- დეპარტამენტის ავტოპარკის განახლება.

საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულია:

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საშუალოვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება;
- მეთოდოლოგიური დოკუმენტების მომზადება, მათ შორის, საწარმოების შემოწმების პრიორიტეტებისა და რისკების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივის ვალდებულებების შესრულების მიზნით, ეროვნული კონცეფციის პროექტის შემუშავება „გარემოზე მიყენებული ზიანისათვის

ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედება სამართლებრივი სისტემის, გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასების, აღდგენითი ღონისძიებებისა და კომპენსაციის მეთოდოლოგიის მოდერნიზაციას.

მზადდება პროექტი ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტების ელექტრონული ანგარიშგებისა და მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების ელექტრონული მართვის ონლაინ სისტემაზე გადასვლისთვის;

- შედეგად დაწესდება ანგარიშგების ელექტრონული, ხელმისაწვდომი და გამარტივებული პროცედურები; გაუმჯობესდება სახელმწიფო კონტროლი და აღრიცხვიანობა მრგვალი ხე-ტყის (მორის) წარმოშობიდან მის გადამუშავებამდე.

მომზადდება ინსპექტირების სექტორული გზამკვლევები და შემოწმების კითხვარები, კვალიფიციური ინსპექტირების ჩატარების მიზნით;

გაგრძელდება ტრენინგები, სემინარები თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (მ.შ. ნარჩენების მართვის კოდექსისა და ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ საქართველოს კანონით აღებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებში);

მუშავდება რეგულირების ობიექტების 2015 წლის შემოწმებათა გეგმა, რომლის მიხედვით განხორციელდება გეგმიური შემოწმებები.